

საქნახშირი

პრესრელიზი

საქნახშირში დასაქმებულ მემახტეთა შრომით და უსაფრთხოების პირობებს სახალხო დამცველი გაეცნო

"საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის" კუთვნილ შახტებში დასაქმებული მემახტეების შრომითი და უსაფრთხოების პირობების გაცნობის მიზნით, ტყიბულს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და აპარატის წარმომადგენლები ეწვივნენ. სახალხო დამცველმა შეხვედრები მემახტეებთან და მენეჯმენტის წარმომადგენლებთან გამართა. ნანუაშვილი ძიძიგურისა და მინდელის სახელობის შახტებში არსებულ პირობებს და საწარმო პროცესში უსაფრთხოების ნორმების ადგილზე გაეცნო. სახალხო დამცველი საქარმოში არსებული სამედიცინო, სასწავლო პუნქტებით და უსაფრთხოების იმ ხელსაწყოებითც დაინტერესდა რომელიც მემახტეთა შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი სარგებლობენ. საუბრისას მაღაროელებმა ნანუაშვილისაგან მათი პროფესიის ადამიანებისათვის გამონკლისის სახით საპენსიო ასაკის დაწვევა და ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სახელმწიფოსთან შუამავლობა სთხოვეს.

„ ჩემი მთავარი მიზანი იყო ადგილზე გამეცნო სიტუაცია და მენახა რა მდგომარეობაში არიან მემახტეები და მათ პირადად გავსაუბრებოდი. არის ძალიან ბევრი რამ გაკეთებული ,ერთია მოსმენილი და მეორეა ადგილზე ნანახი. მივიღე დეტალური ინფორმაცია . არის საკითხები რომელიც არის საყურადღებო სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენი რეკომენდაცია რომ სახელმწიფოს მხრიდან იყოს ორგანო, რომელიც წაქარმოებში უსაფრთხოების მდგომარეობას შეამოწმებს . შევეხეთ საპენსიო ასაკს, ვფიქრობ არ უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა სამუშაო პირობებიდან გამომდინარე. ეს არის თემა, რაშიც ვცდებით მივიღოთ მონაწილეობა“- განაცხადა შეხვედრის შემდეგ სახალხო დამცველმა. უჩა ნანუაშვილმა ინფორმაციები ტყიბულის მემახტეთა ფროფკავშირების თავჯდომარისგანაც მიიღო, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა.

გიორგი ხაბურდანიას თქმით მემახტეთა მოთხოვნები ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის გზით წყდება.,, უსაფრთხოება ისეთი თემაა ჩვენი ფროფილის საწარმოებში რომ ერთიანად ვერ აღმოიფხვრება , თუმცა ამ საკითხში ადმინისტრაციასთან ვთანამშრომლობთ, სახალხო დამცველს ვთხოვეთ , რომ , გახდეს ჩვენი





საქნახშირი

პრესრელიზი

შუამავალი სახელმწიფოსთან და სამუშო პირობების სფეციფიურობიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით პენსიის ასაკობრივმა ზღვარმა დაიწიოს „- აღნიშნა ბაბუხადაამ.

„საქნახშირის“ შემოსავლების 30 პროცენტი ტექნიკური გადაიარაღების პროცესზეა გათვლილი რაც მემახტეების სამუშაო პირობებსა და უსაფრთხოების გარანტიებს ზრდის.

05.02.2014

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიდიურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი"
თაბუკაშვილის ქ. 13, 4300, ტყიბული
ტელ.: +995 95 74 74 73
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით: 
Georgian Industrial Group Holding

